საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

„აწარმოე საქართველოში“ დირექტორის

ბრძანება

KA020114983505420

№ ს-71 **25 / დეკემბერი / 2020 წ.**

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით ხარვეზის რედაქტირების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის № 365 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ 12^3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის № 1-1/217 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დებულების“ მე -3 მუხლის მე- 3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1.მეწარმე სუბიექტის მხრიდან სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში პროგრამის განხორციელების დროს, პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით ავტორიზაციისას, საკომუნიკაციო არხების (ეხება მხოლოდ ტელეფონის ნომრის და ელ-ფოსტის ველებს) ნაწილებში ინფორმაციის არასწორად მითითების შემთხვევაში ან/და პაროლის განახლების მოთხოვნისას ან/და პროექტების წარდგენის ხარვეზის შემთხვევაში, სააგენტო მეწარმე სუბიექტის მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, უფლებამოსილია განახორციელოს აღნიშნული ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ქმედებები.

2. განაცხადს, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნას ელ-ფოსტაზე: info@enterprise.gov.ge, თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ტელეფონის ნომრის/ელ-ფოსტის ცვლილების შემთხვევაში - პირადობის მოწმობის ასლი, დაშვებული ხარვეზის მოკლე აღწერა და ის საკომუნიკაციო ტელეფონის ნომერი ან/და ელ-ფოსტა, რომლითაც უნდა შეიცვალოს არსებული ტელეფონის ნომერი ან/და ელ-ფოსტა .

ბ) პაროლის ცვლილების შემთხვევაში - პირადობის მოწმობის ასლი, დაშვებული ხარვეზის მოკლე აღწერა და პაროლის განახლებაზე მოთხოვნა.

გ) პროექტის წარდგენის პროცესში დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში (რომელმაც გამოიწვია პროექტის წარდგენის შეფერხება) - პირადობის მოწმობის ასლი, პროექტის წარდგენის თაობაზე ხარვეზის მოკლე აღწერა და პროგრამაში რეგისტრაციისას დარეგისტრირებული/(საკომუნიკაციო) ტელეფონის ნომერი.

3. აღნიშნული ბრძანების პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში გაწერილი ხარვეზის თაობაზე განცხადება შესაძლებელია დაფიქსირდეს, პროგრამის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, რომელსაც სააგენტო განიხილავს და მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაარედაქტირებს 2 სამუშაო დღის ვადაში.

4. აღნიშნული ბრძანების პირველი მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, პროექტის წარდგენის ხარვეზის თაობაზე განცხადება უნდა დაფიქსირდეს არაუგვიანეს 2020 წლის 28 დეკემბრის 18:00 საათამდე. აღნიშნულ დრომდე

წარდგენილ განაცხადს სააგენტო განიხილავს და მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისცემს მეწარმე სუბიექტს დამატებით 1 სამუშაო დღის ვადას (არა უგვიანეს აღნიშნული სამუშაო დღის 18:00 საათისა), პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით პროექტის წარსადგენად.

5. აღნიშნული ბრძანების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით ხარვეზების რედაქტირების შესახებ აღნიშნული ბრძანების გამოცემამდე არსებული ბრძანებები.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 5 ოქტომბრიდან სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთოებებზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მიხეილ ხიდურელი